ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N31

ქ. დედოფლისწყარო, 14 მარტი, 2022 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთი მხრივ, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრსა, (მისი დირექტორის მაია ყოჩიაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“, საიდენტიფიკაციო კოდი 228544046, მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ N1) და
მეორე მხრივ, ი/მ ,,ფიქრია ლეკაშვილი“, (შემდგომში “მიმწოდებელი“, პ/ნ 14001023306, მომსახურე ბანკი ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22, ანგ № GE29BG0000000103332933) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ს/ბაღებისა და ბ/ბაღებისათვის განსაზღვრული საქონლის: „ავეჯის აქსესუარები“ (CPVკოდი 39200000) თანხით -140,50 ლარი, მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

cpv 39200000

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი(ლარი)
1	ავეჯის აქსესუარები(ტაფა)	2	47,00	94,00
2	ავეჯის აქსესუარები(ჯაგრისი უნიტაზის)	1	5,00	5,00
3	ავეჯის აქსესუარები(საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი(კოვზები)1 შეკვრა	1შ	8,50	8,50
4	ავეჯის აქსესუარები(საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი(ქვაბები)	3	11,00	33,00
	სულ			140,50

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადით შეადგენს 140,50 ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
3.2 ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების, საქონლისა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადების) წარმოდგენის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი.

7. პირსაგამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში , მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0, 01% – ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედაგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9 . დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისირი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 21 აპრილამდე.

11.2 საქონლის მიწოდების ვადებია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 21 მარტამდე.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი, დირექტორი
მაია ყოჩიაშვილი

Dedoplistskaro Municipality Center of Preschool and Out-of-School Education

Подписано цифровой подписью: Dedoplistskaro Municipality Center of Preschool and Out-of-School Education
Дата: 2022.03.14 10:02:11 +04'00'

მიმწოდებელი:
ი/მ ფიქრია ლეკაშვილი

fiqria lekashvili

Подписано цифровой подписью: fiqria lekashvili
Дата: 2022.03.14 11:25:23 +04'00'